ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N17

ქ.ზუგდიდი **5 ივლისი 2023 წელი**
14:00 სთ

2023 წლის 5 ივლისს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი სორდია, გიგა ფარულავა, კახაბერ ჩანგელია, თამუნა ჯიქია, ოთარ ქადარია, ჯონი ჯიქია, დავით ფიფია, გიორგი კორტავა, სოსო გოგოხია, დავით ვეკუა, დარეჯან გაბედავა, ლაშა ბეჭვაია, მაია კალანდია, ბეჟან შანავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: ირაკლი გოგოხია (შვებულება), თაზო ფაცაცია.

სხდომას ასევე ესწრებოდა: კონსტანტინე კაკავა-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; **.....**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილე; **.....**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსი; **.....**-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსი; **.....**-შპს ,,ლაბირინთი 8"-ს წარმომადგენელი.

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი .....

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 16 წევრიდან 14 წევრი. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გიორგი სორდია.
კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრისათვის" გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

   თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილე

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით. უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უვადოდ სარგებლობის უფლებით შპს "ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი"-სათვის გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის

საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილე

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭკადუაშში მდებარე 1003,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული N1 (ორსართულიანი) შენობა-ნაგებობის დემონტაჟის მიზნით განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) წესით პრივატიზებისას დემონტაჟის შედეგად მისაღები მეორადი გამოყენების მატერიალური ფასეულობების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილე

4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით შპს ..... გაცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილე

5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 1849,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 4,0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით ფ/პ ..... გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარ

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილე

6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქი ზუგდიდი, გამსახურდიას გამზირი N1-ში მდებარე ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობაში პირველ სართულზე მდებარე არასაცხოვრებელი ფართებზე: კაფეტერია - 43.03 კვ.მ.; სამზარეულო - 8,95 კვ.მ.; დაცვის ოთახი - 20,0 კვ.მ.; კორიდორი - 6,0 კვ.მ. და ეზოში, გარე სივრცეზე 200,0 კვ.მ.-ზე განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღისთვის“ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილე

7. "საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7 მარტის N20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსი

8. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება "BOGDAN" სახელმწიფო ნომრით HH467HN განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (უპირობო) ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტისათვის" თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილე

9. ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილე

10. კერძო სასაფლაოს გახსნაზე (მოწყობაზე) თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსი.

11. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (იჯარის ფორმით) შპს ..... გადაცემის შესახებ და საიჯარო ქირის წლიური

საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილე

12. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ზუგდიდდასუფთავების ცენტრისთვის“ გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილე

13. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა დღის წესრიგს მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **პირველ საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 20 ივნისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242317151 მომართვა (რეგისტრაციის N12-25231711-25 20.06.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრისათვის“ გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის “ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის “დ„ პუნქტის “დ.გ„ ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 615-622 მუხლების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 20 ივნისის N24-242317151 წერილის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონება 600 ერთეული ეროვნული დროშა (ხის ტარით 1.5*1მ), საბალანსო ღირებულებით 9000 (ცხრა ათასი) ლარი, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, უვადოდ სარგებლობის

უფლებით გადაცეს ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრს“.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 14

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრისათვის“ გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეორე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 21 ივნისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423171129 მომართვა (რეგისტრაციის N12-25231721-25 21.06.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით. უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უვადოდ სარგებლობის უფლებით შპს “ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“-სათვის გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის “დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 242-246 მუხლების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 21 ივნისის N24-2423171129 წერილის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ზუგდიდი სოხუმის ქუჩის VI შესახვევში მდებარე 1557 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი უვადო სარგებლობის წესით უსასყიდლოდ (უზუფრუქტის ფორმით) გადაეცეს შპს “ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტ“-ს.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა დავით მიქავას კომისიის წევრებს მიაწოდოს ინფორმაცია კონკრეტულად რომელ მიწის ნაკვეთზეა საუბარი.

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განმარტა:** „აღნიშნული მიწის ნაკვეთი, რომლის გადაცემასაც ითხოვს მერია „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტისთვის“ მდებარეობს იმ ტერიტორიის ირგვლივ, სადაც ამჟამად არის განთავსებული აღნიშნული შპს. აღნიშნული მიწის ნაკვეთი იყო სახელმწიფოს საკუთრება და მაისის თვეში გადმოეცა მუნიციპალიტეტს საკუთრებაში სახელმწიფოს ეროვნული სააგენტოდან. შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“

რეალურად ამ ტერიტორიას იყენებს თავისი ავტოსატრანსპორტო საშუალებების განსათავსებლად და რადგან ეს ნაკვეთი უკვე მუნიციპალიტეტის საკუთრებაა გადაწყდა მისი შპს-თვის გადაცემა უზუფრუქტის ფორმით, უვადო სარგებლობისთვის.“ **(პარალელურად მიმდინარეობს ფოტო ჩვენება)**

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ განმარტა: „შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“ ამ მიწის ნაკვეთს ითხოვს უფრო გამართული საქმიანობისთვის, უფრო კეთილმოწყობილი დეპოს შექმნისთვის.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ სხვა სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 14

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტის „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით. უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უვადოდ სარგებლობის უფლებით შპს “ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“-სათვის გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მესამე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 22 ივნისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423173120 მომართვა (რეგისტრაციის N12-25231732-25 22.06.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭკადუაშში მდებარე 1003,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული N1 (ორსართულიანი) შენობა-ნაგებობის დემონტაჟის მიზნით განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) წესით პრივატიზებისას დემონტაჟის შედეგად მისაღები მეორადი გამოყენების მატერიალური ფასეულობების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 115-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 22 ივლისის N24-2423173120 წერილის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭკადუაშში მდებარე 1003,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული N1 (ორსართულიანი) შენობა-ნაგებობის დემონტაჟის მიზნით განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) წესით პრივატიზებისას დემონტაჟის შედეგად მისაღები მეორადი გამოყენების მატერიალური ფასეულობების საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი წინადადებები ან შენიშვნები მესამე საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განმარტა:** „პირველ ჯერზე ვერ მოხდა აღნიშნული ქონების განკარგვა (3 500(სამიათასხუთასილარი) ლარი), შემდეგ მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან მოხდა ფასდაკლებით გატანა (1 800(ერთიათასრვაასილარი) ლარი). მეორე აუქციონიც ჩაიშალა (აუქციონები ჩატარდა ორ-ორჯერ) და ახლა წარმოდგენილი არის ფასდაკლებით -1 000(ერთიათასილარი) ლარი."

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობები, რომლებიც დემონტაჟს ექვემდებარება და რომლებიც შეიძლება გარემონტდეს, ამისთვის ნებისმიერ შემთხვევაში აუქციონი უნდა გამოცხადდეს?"

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განმარტა:** „ჯერ აუქციონი ვერ გამოცხადდება თუ არ იქნა შესაბამისი შეფასება მდგრადობასთან დაკავშირებით, ექსპერტიზის შეფასება. სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე ახალი განკარგულებით მუნიციპალიტეტის მერიას აქვს პრეროგატივა თანხმობა აიღოს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან შეფასებასთან დაკავშირებით. ამ თანხმობის შემდეგ თუ შენობა არის მდგრადი სხვა პროცედურები ხორციელდება, ხოლო თუ არის არამდგარდი დემონტაჟის პროცედურები უნდა დაიწყოს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში დემონტაჟზეა საუბარი. დემონტაჟის შემდეგ მიწის ნაკვეთი შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვა მიმართულებით."

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „ბევრს სოფელში არის ძველი შენობა-ნაგებობები (ე.წ.კანტორები, კულტურის სახლები და ა.შ.) ამათგან ზოგიერთი ამორტიზებულია, ზოგიერთი რემონტს ექვემდებარება. რომელიც არ ექვემდებარება აღდგენას იქ არსებული მიწის ნაკვეთი შეიძლება თუ არა ისეთ ადამიანს გადაეცეს, ვისაც სოფელში მცირე ბიზნესის წამოწყება უნდა."

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ განმარტა: „კანონმდებობა, რომლითაც რეგულირდება სახელმწიფო, მუნიციპალური და ა.შ. ქონების განკარგვა ითვალისწინებს შემდეგს: მუნიციპალტეტი არ არის უფლებამოსილი სიმბოლურ თანხად 1 ლარის პრინციპით ქონების გადაცემა, ამის მანდატი მუნიციპალიტეტს არ გააჩნია. თუ მუნიციპალიტეტი მიზანშეწონილად ჩათვლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციებში არსებული მსგავსი შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთები გადაეცეს კერძო სექტორს ბიზნესისთვის, ასეთ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი სახის ქონება, მათ შორის შენობა-ნაგებობა გადაეცეს უნდა ეკონომიკის სამინისტროს ქონების სააგენტოს და შემდეგ მოხდება კერძო პირისთვის მისი გადაცემა, მაგალითისთვის „თეგეტა მოტორსის" შემთხვევა შემიძლია მოგიყვანოთ."

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 14

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭკადუაშში მდებარე 1003,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული N1 (ორსართულიანი) შენობა-

ნაგებობის დემონტაჟის მიზნით განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) წესით პრივატიზებისას დემონტაჟის შედეგად მისაღები მეორადი გამოყენების მატერიალური ფასეულობების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეოთხე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 23 ივნისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423174138 მომართვა (რეგისტრაციის N12-25231745-25 23.06.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით შპს ..... გაცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის “დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 26 ივნისის N24-2423174138 წერილის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქი ზუგდიდი, ჯანაშიას ქუჩაზე მდებარე 13044,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N43.31.62.259) 324,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გასცეს შპს ..... სარგებლობაში, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით 2 (ორი) წლის ვადით. საიჯარო ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 3 600 (სამი ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 14

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით შპს ..... გაცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეხუთე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 22 ივნისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423173119 მომართვა (რეგისტრაციის N12-25231733-25 22.06.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 1849,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 4,0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით ფ/პ ..... გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის “დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 22 ივნისის N24-2423173119 წერილის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქი ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 1849,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N43.31.56.310) 4,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გასცეს .... სარგებლობაში, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, 1 (ერთი) წლის ვადით. საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვროს 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 14

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 1849,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 4,0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით ფ/პ ..... გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეექვსე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 27 ივნისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423178116 მომართვა (რეგისტრაციის N12-25231785-25 27.06.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქი ზუგდიდი, გამსახურდიას გამზირი N1-ში მდებარე ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობაში პირველ სართულზე მდებარე არასაცხოვრებელი ფართებზე: კაფეტერია - 43.03 კვ.მ.; სამზარეულო - 8,95 კვ.მ.; დაცვის ოთახი - 20,0 კვ.მ.; კორიდორი - 6,0 კვ.მ. და ეზოში, გარე სივრცეზე 200,0 კვ.მ.-ზე განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღისთვის“ თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 115-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 07 დეკემბრის N94 დადგენილების, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმის N9 (13.06.2023წ) და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 27 ივნისის N24-2423178116 წერილის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღს“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქი ზუგდიდი, გამსახურდიას გამზირი N1-ში მდებარე ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობაში (საკადასტრო კოდი: № 43.31.49.143) პირველ სართულზე მდებარე არასაცხოვრებელი ფართებზე: კაფეტერია - 43.03 კვ.მ.; სამზარეულო - 8,95 კვ.მ.; დაცვის ოთახი - 20,0 კვ.მ.; კორიდორი - 6,0 კვ.მ. და ეზოში, გარე სივრცეზე 200,0 კვ.მ.-ზე განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 25 920 (ოცდახუთი ათას ცხრაას ოცი) ლარის ოდენობით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი წინადადებები ან შენიშვნები მეექვსე საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განმარტა:** „აღნიშნული ფართები პირველად აუქციონზე გავიდა 43 000(ორმოცდასამიათასილარი) ლარად, შემდეგ ფასდაკლებით გავიდა 32 000(ოცდათორმეტიათასილარი) ლარად, არც ამ თანხით მოხდა განკარგვა და ახლა განმეორებით აუქციონზე საწყისი საიჯარო ქირა წარმოდგენილია 25 920 (ოცდახუთიათასცხრაასოცილარი) ლარად ერთი წლით, რაც თვეში 2 160(ორიათასასსამოცილარი) ლარია.“

აზრი გამოთქვეს: **გიგა ფარულავამ აღნიშნა:** „ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით მისასალმებელია რომ შემცირდა ფასი ობიექტურობიდან გამომდინარე, მაგრამ ვადასთან მიმათებაში ვფიქრობ, რომ ერთი წელი არ იქნება ინვესტორისთვის მიმზიდველი, იმიტომ რომ ერთ წელში რა თანხასაც ჩადებს, ის ამ თანხას ამ ერთ წელიწადში ვერ ამოიღებს. თუ ვინმე მოიგებს აიქციონს წარმატებები, მაგრამ შემდეგისთვის გავითვალისწინოთ რომ ერთი წელი არის ძალიან მცირე, ეს რომ იყო 2-3 ან თუნდაც 5 წლის ვადით ალბათ უმჯობესი იქნება, რადგან ეს არის ისეთი ტერიტორია, რომელიც სულ უნდა ფუნქციონირებდეს, იმიტომ რომ ეფექტური იყოს ვიზიტორებისთვის ბოტანიკური ბაღი. ჩემი შეხედულებით ერთი წელი არის მცირე ვადა და სულ გვექნება ეს ჩავარდნები. იქ მთავარია რა ვალდებულებებსაც დავაკისრებთ ან იკისრებს ამის კონტროლი მოვახდინოთ მაქსიმალურად და ეფექტურად.“

აზრი გამოთქვეს: ჯონი ჯიქიამ აღნიშნა: „ზოგადად ასეთი ობიექტი როცა იხსნება დაახლოებით 2-3 თვე მაინც სჭირდება მომხმარებლების მოსაზიდად.“

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ აღნიშნა: „ერთერთი გარემოება, რის გამოც ვერ შედგა აუქციონი არის ვადა. გარდა იჯარის თანხისა ინვესტორს საკმაოდ დიდი თანხის ჩადება მოუწევს. თუ აუქციონში გამარჯვებული გამოვლინდა ჩათვალეთ რომ წლევანდელი ზაფხულის სეზონი ფაქტიურად ჩაუვარდება, მიუხედვად იმისა რომ ეს ობიექტი სეზონზე არ არის დამოკიდებული.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „თუ ახლა წარმოდგენილი პირობით ისევ ჩავარდა აუქციონი შემდეგში გაზრდილი ვადით გავიტანოთ.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განაცხადა: „წარმოდგენილ განკარგულების პროექტში ტექნიკური ხარვეზია ნაცვლად „საწყისი წლიური საიჯარო ქირისა“ აღნიშნულია საწყისი საპრივატიზებო საფასური“ რაც უნდა გამოსწორდეს განკარგულების საბოლოო ვარიანტში.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განმარტა:** „განკარგულების პროექტში არსებული ტექნიკურ ხარვეზთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომამდე გადმოგეგზავნებათ გასწორებული ვარიანტი.“

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ განმარტა: „ამ საკითხთან დაკავშირებით დაზუსტების მიზნით მინდა მოგახსენოთ მერიის მიერ გადმოგზავნილ განკარგულების პროექტში იჯარის ვადად მითითებული არის 3 წელი.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განმარტა:** „ბოტანიკური ბაღის წერილით მოთხოვნილია იჯარის ვადა 3 წელი, რაზეც მერიის შესაბამისმა კომისიამ თანხმობა მისცა.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მომხრე: 14

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქი ზუგდიდი, გამსახურდიას გამზირი N1-ში მდებარე ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობაში პირველ სართულზე მდებარე არასაცხოვრებელი ფართებზე: კაფეტერია - 43.03 კვ.მ.; სამზარეულო - 8,95 კვ.მ.; დაცვის ოთახი - 20,0 კვ.მ.; კორიდორი - 6,0 კვ.მ. და ეზოში, გარე სივრცეზე 200,0 კვ.მ.-ზე განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღისთვის“ თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეშვიდე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 30 ივნისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423181171 მომართვა (რეგისტრაციის N12-252318127-25 30.06.2023წ), რომელიც შეეხება “საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში

დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7 მარტის N20 განკარგულებაში ცვლილების შეტანას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 30 ივნისის N24-2423181171 წერილის საფუძველზე ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7 მარტის N20 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტები ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად (ოქმს თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს: მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსმა **განმარტა:** „დასრულდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, შედგა პროექტები დანართის შესაბამისად. დასრულდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით პროექტების დაპროექტება და გარკვეულ პროექტებზე საჭიროა დამატებითი თანხების მობილიზება, შესაბამისად საუბარია დაახლოებით 180 000(ასოთხმოციათასილარი) ლარზე. გათვალისწინებული იყო 200 000(ორასიათასილარი) ლარი, მაგრამ დასრულებულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციებიდან გამომდინარე დამატებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასამატებელი არის როგორც აღვნიშნე 180 000(ასოთხმოციათასილარი) ლარი. დანართში მონიშნულია სოფლების მიხედვით რა რაოდენობის თანხები არის დასამატებელი კონკრეტულ პროექტებზე."

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „სკვერების პროექტები ყველა სოფელში რომ ერთნაირია, ცოტა მრავალფეროვნება რომ იქნეს შეტანილი ამ პროექტებში კარგი იქნება."

აზრი გამოთქვეს: მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსმა **განმარტა:** „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა შეზღუდულია ბიუჯეტში და არ გვაქვს ფუფუნება მასშტაბური პროექტების განხორციელების. საპროექტო ორგანიზაცია გადის ხოლმე ადგილზე მერის წარმომადგენელთან ერთად და ხდება შეჯერება პროექტზე."

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ განმარტა: „მოკლედ მინდა გამოვემხაურო ქალბატონი მაიას განცხადებას სკვერებთან დაკავშირებით, აბსოლიტურად სამართლიანი შენიშვნაა ამ მიმართულებით. ეს ჩვენთვის მარტივია- არის შაბლონი, თუნდაც მოსაცდელების და ყველგან არის ერთნაირი. ამ სკვერებთან მიმართებაშიც გამოიკვეთა, რომ ერთნაირია ყველა სოფელში. გეთანხებით განსხვავებულობა უნდა იყოს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ბაღების პროექტი, რომლებიც რამოდენიმე სოფელში აშენდა. ასევე ერთნაირია ამბულატორიები. სოფლის დონეზე ეს ნაგებობები არის არქიტექტურული შენობები და სოფლის ცენტრები უნდა იყოს განსხვავებული ერთმანეთისგან. მოგახსენებათ, პროცესი რომ არ შეფერხდეს, ფაქტიურად ბოლომდე ვართ გასული, საპროექტო სამუშაოები უკვე ჩატარებულია წელს სამწუხაროდ ვერ შევცვლით ამ მიმართულებით პროექტებს.

უკვე დაიწყო პროცესი მწვანე ბიუჯეტის, წინა წლებში იყო გარკვეული შეფერხებები. თქვენ იცით რომ მწვანე ბიუჯეტი განსხვავებით სამოქალაქო ბიუჯეტისგან ფარავს სოფლის ტიპის დასახლებებს, ადმინისტრაციულ ერთეულებს. დაიბეჭდა ბუკლეტები, მაისურები და ვიწყებთ საინფორმაციო კამპანიას და ასევე განცხადებების მიღებას. შემდეგ, განსხვავებით სამოქალაქო ბიჯეტისგან, სადაც პროექტების შერჩევა ხდება მოქალაქეების მიერ ფარული კენჭისყრით, პროექტებს ირჩევს მწვანე ბიუჯეტის საბჭო. მწვანე ბიუჯეტის თანხა სულ არის 100 000(ერთიასიათასილარი) ლარი და ერთი საპროექტო წინადადების მაქსიმალური თანხა

განისაზღვრა 10 000(ათიათასილარი) ლარით. ასე რომ მცირე სკვერების გამწვანება მცირე თანხებით არის შესაძლებელი.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 14

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „“საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ” ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7 მარტის N20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მერვე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 4 ივლისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423185122 მომართვა (რეგისტრაციის N12-25231858-25 4.07.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება “BOGDAN” სახელმწიფო ნომრით HH467HN განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (უპირობო) ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტისათვის“ თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 07 დეკემბრის N94 დადგენილების, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმის N10 (30.06.2023წ) და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 4 ივლისის N24-2423185122 წერილის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტს“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება “BOGDAN” სახელმწიფო ნომრით HH467HN, ს/ნY7BA092017B001958 გატანილ იქნეს განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე და პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 9 450 (ცხრა ათას ოთხას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 14

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება "BOGDAN" სახელმწიფო ნომრით HH467HN განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (უპირობო) ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტისათვის" თანხმობის მიცემის თაობაზე" ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეცხრე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 4 ივლისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423185117 მომართვა (რეგისტრაციის N12-25231857-25 4.07.2023 წ), რომელიც შეეხება ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილებების შეტანას.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა დავით მიქავას კომისიის წევრებს მიაწოდოს ინფორმაცია (ჩაშლილად) საპრივატიზებო ნუსხაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განმარტა:** „დამტკიცებული ნუსხისა და გეგმის ფარგლებში გამოცხადდა ელექტრონული აუქციონიები და პრივატიზებულ იქნა ნუსხასა და გეგმაში აღნიშნული შემდეგი ქონებები:

1. ზუგდიდი, სოფ. ჩხორიაში მდებარე 427 კვ.მ. არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა- ნაგებობები N1 საერთო ფართით 198.59 კვ.მ N2 (დანგრეული); N3 (დანგრეული).
2. ქ. ზუგდიდი, კ. გამსახურდიას ქუჩა N76-ში მდებარე 45.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
3. ქ. ზუგდიდი, ჩიქოვანის ქუჩა N20-ში მდებარე 183.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
4. ქ. ზუგდიდი, სოფ. ინგირში მდებარე 83.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
5. ქ. ზუგდიდი, სოფ.ინგირში მდებარე 110,00კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
6. ქ. ზუგდიდი, სოფ. ინგირში მდებარე 40,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
7. ქ. ზუგდიდი, სოფ. ინგირში მდებარე 350,00კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ამ ქონებების პრივატიზების თანხამ შეადგინა 55 000(ორმოცდათხუთმეტიათასილარი) ლარი. საკრებულოში ამ ნუსხის გადმოგზავნის შემდეგ კიდევ ერთი ობიექტის პრივატიზება მოხდა სოფ. ოქტომბერში არსებული ნაგებობა (დემონტაჟი), რომლის ღირებულებაა 21 000(ოცდაერთიათასილარი) ლარი და საერთო ჯამში პრივატიზებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 76 000(სამოცდათექვსმეტიათასილარი) ლარი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საპრივატიზებოდ გატანილ იქნას შემდეგი უძრავ/ მოძრავი ქონებები:

1. ავტოსატრანსპორტო საშუალება. LEXUS GX470; გამოშვების წელი 2008 წელი; (20 000(ოცდათასილარი) ლარი).
2. ქ. ზუგდიდი, ბესიკის ქუჩაზე მდებარე 182.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი-უპირობო აუქციონი (60 000(სამოცდათასილარი) ლარი).“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი წინადადებები ან შენიშვნები მეცხრე საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „ბესიკის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთი, რომლის აუქციონზე გატანას აპირებთ არის ცენტრალური ნაწილი, ბიზნესისთვის საკმაოდ ხელსაყრელი ტერიტორია და თანხა საკმაოდ იაფია.“

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ განაცხადა: „აღნიშნული მიწის ნაკვეთს სპეციფიკური მახასიათებლები აქვს სიგრძე 46 მეტრი და სიგანე 4,50 მეტი.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „ჩემს მოსაზრებას მოგახსენებთ ამ საკითხთან დაკავშირებით და დანარჩენი შემდეგ კენჭისყრით გადავწყვიტოთ-მიწის ნაკვეთის (რომელზეც არის საუბარი) მიმდებარედ როგორც ვიცით, არის გულუას პარკი, სადაც იგეგმება გრანდიოზული პარკის მშენებლობა, ასევე ყველამ ვიცით იქ ისტორიულად არის ტურისტების თავშეყრის ადგილი (სვანეთის მიმართულებით). დამერწმუნეთ, ეს 60 000(სამოციაათასილარი) ლარი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის იმდენი არ არის, რომ ეს ტერიტორია გავასხვისოთ. თუ გულუას პარკის ინფრასტრუქტურულ განვითარებას ვაპირებთ, ეს კონკრეტული ადგილი მუნიციპალიტეტმა შეიძლება ავტოსადგომისთვის გამოიყენოს. მუნიციპალიტეტს რომ დასჭირდეს იმ ადგილზე მიწის აღება კერძო მესაკუთრისგან 60 000 (სამოციათასილარი) ლარად გამორიცხულია ვერ იყიდის. ჩემი წინადადებაა საერთოდ არ გავიტანოთ ეს მიწის ნაკვეთი საპრივატიზებოდ, მით უმეტეს, როგორც აღვნიშნე, იმ ტერიტორიაზე ავტოსადგომი არ არის მოწესრიგებული.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი კორტავამ აღნიშნა: „პერსპექტივაში ეს მიწის ნაკვეთი ძალიან მნიშვნელოვანია ქალაქის იმ ტერიტორიის განვითარებისთვის და ფრაქციის სახელით შემიძლია გითხრათ, რომ მომხრე ვართ აღნიშნული მიწის ნაკვეთი ამოღებულ იქნას საპროვატიზებო ნუსხიდან.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ სხვა სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 14

გადაწყვიტეს: ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა უარყოფითი გადაწყვეტილება.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეათე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 4 ივლისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423185145 მომართვა (რეგისტრაციის N12-25231859-25 4.07.2023წ), რომელიც შეეხება კერძო სასაფლაოს გახსნაზე (მოწყობაზე) თანხმობის მიცემას.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კობა მორგოშიას კომისიის წევრებს მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე.

აზრი გამოთქვეს: მერიის არქიტექტურის განყოფილების უფროსმა განმარტა: „მერიაში შემოვიდა განცხადებით შპს „----------“-ს დირექტორის ქალბატონი თეა მიმინოშვილი, რომელიც ითხოვს შპს-ეს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობს ჭითაწყარის სასაფლაოების მომიჯნავედ, სასაფლაოს მოწყობას. მათ წარმოდგენილი აქვთ პროექტი (პარალელურად მიმდინარეობს პროექტის ჩვენება). სასაფლაოს მისასვლელი ექნება ხუბულავას ქუჩის მხრიდან. მის მიმდებარედ 2021 წელს შპს „---------“ მიეცა ნებართვა იქ სასაფლაოს მოწყობის. სასაფლაოს მიმდებარედ იქნება 30 ადგილიანი ავტოსადგომი, იქნება ადმინისტაციის შენობა, ასევე სხადასხვა დამხმარე ნაგებობა თანამდეროვე სტანდარტების. იქვე იქნება შესაძლებელი მომსახურეობის მიღების მაგალითად სასაფლაოს მოწყობის, დასუფთავების და ა.შ. იქნება შშმ პირებისთვის ადაპტირებული კანონმდებლობით დადგენლი სტანდატების შესაბამისი გასასვლელები. მათ წარმოდგენილი აქვთ სასაფლაოების სტანდარტული პროექტი ზომით 4x6, მოპირკეთებული.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „მიმდებარედ ახლოს ხომ არ არის მოსახლეობა.“

აზრი გამოთქვეს: მერიის არქიტექტურის განყოფილების უფროსმა განმარტა: „მიმდებარე ტერიტორიაზე არის განთავსებული კომერციული დანიშნულების ობიექტები.“

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „საკითხი რაზეც მინდა გავამახვილო ყურადღება ეხება ქალაქის ცენტრში სასახლეების (კუბოები) თემას, რომლებიც განთავსებულა სოხუმის ქუჩაზე, წერეთლის ქუჩაზე, რუსათველის ქუჩაზე რკინიგზის მიმდებარედ. მოსაგვარებელია ეს საკითხი. ქალაქში სტუმარი რომ ჩამოდის პირველი რასაც ხედავს სასახლეებია (კუბოები).“

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელიამ აღნიშნა: „ამ საკითხის ერთ-ერთი მოგვარების გზა შესაძლებელია სწორედ ასეთი სასაფლაოს მოწყობა იყოს, სადაც მას ექნება ყველანაირი მომსახურეობა, მათ შორის სასახლეები.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განაცხადა, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,ბ“ პუნქტის ,,ბ.ბ“ ქვეპუნქტის, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის“ დამტკიცების შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 04 მაისის №51 დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 4 ივლისის N24-2423185145 წინადადების საფუძველზე, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში შპს ,,-------“-ს (ს/ნ -------) საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე დაზუსტებული ფართობი: 14873.00, კერძო სასაფლაოს გახსნაზე (მოწყობაზე).

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 14

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „კერძო სასაფლაოს გახსნაზე (მოწყობაზე) თანხმობის მიცემის შესახებ“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეთერთმეტე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 5 ივლისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423185124 მომართვა (რეგისტრაციის N12-25231865-25 5.07.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (იჯარის ფორმით) შპს „-------„ გადაცემის შესახებ და საიჯარო ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, 122-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობის და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის მე-2, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 5 ივლისის N24-2423185124 წერილის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ზუგდიდში მდებარე დანართ N1-ით გათვალისწინებული 22 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (თითოეული 1,0 კვ.მ) გადასცეს სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, 1 (ერთი) წლის ვადით შპს “თიბისი ფეის“ გადახდის აპარატების განთავსების მიზნით. საიჯაროს ქირის წლიური საფასური განისაზღვროს 13200 (სამეტი ათას ორასი) ლარის ოდენობით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 14

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (იჯარის ფორმით) შპს „----------“ გადაცემის შესახებ და საიჯარო ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეთორმეტე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 4 ივლისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423185118 მომართვა (რეგისტრაციის N12-25231856-25 4.07.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის

„ზუგდიდდასუფთავების ცენტრისთვის“ გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის “ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის “დ„ პუნქტის “დ.გ„ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 615-622 მუხლების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 4 ივლისის N24-2423185118 წერილის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 10 ერთეული მოძრავი ქონება

(IVECO DAYLI 35S15D სახელმწიფო რეგისტრაციის N:GK622GG; ს/ნ:ZCFCB35A405541770 გამოშვების წელი-2023წ, საბალანსო ღირებულება 86578.5 ლარი;

IVECO DAYLI 35S15D სახელმწიფო რეგისტრაციის N:GK627GG; ს/ნ: ZCFCB35A505544032 გამოშვების წელი-2023წ; საბალანსო ღირებულება 86578.5 ლარი;

IVECO DAYLI 35S15D სახელმწიფო რეგისტრაციის N:GK628GG; ს/ნ: ZCFCB35A905542848 გამოშვების წელი-2023წ, საბალანსო ღირებულება 86578.5 ლარი;

IVECO DAYLI 35S15D სახელმწიფო რეგისტრაციის N:GK629GG ს/ნ: ZCFCB35A205542495 გამოშვების წელი-2023წ, საბალანსო ღირებულება 86578.5 ლარი;

IVECO DAYLI 35S15D სახელმწიფო რეგისტრაციის N:GK633GG; ს/ნ: ZCFCB35A405544653 გამოშვების წელი-2023წ, საბალანსო ღირებულება 86578.5 ლარი;

IVECO DAYLI 35S15D სახელმწიფო რეგისტრაციის N:GK625GG; ს/ნ: ZCFCB35A205544036 გამოშვების წელი-2023წ, საბალანსო ღირებულება 86578.5 ლარი;

ექსკავატორი JCB 3CXD14M2NM სახელმწიფო რეგისტრაციის N:NV870N; ს/ნ:HAR3CXTTEP3136840 გამოშვების წელი-2023წ, საბალანსო ღირებულება 219000 ლარი;

თვლიანი ტრაქტორი JOHN DEERE 6110B სახელმწიფო რეგისტრაციის N:MS518S საიდენტიფიკაციო ნომერი:1YR6110BJNN501633 გამოშვების წელი-2022წ; საბალანსო ღირებულება 139100 ლარი;

JOHN DEERE 6110B სახელმწიფო რეგისტრაციის N:MS519S საიდენტიფიკაციო ნომერი:1YR6110BTNN501661 გამოშვების წელი-2022წ, საბალანსო ღირებულება 139100 ლარი;

თვითმცლელი მისაბმელი AGRIONAL DOUBLE AXLE TRAILER სახელმწიფო ნომერი:MS513S, საიდენტიფიკაციო ნომერი: 231576, გამოშვენის წელი 2023, საბალანსო ღირებულება 30025 ლარი) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, უვადოდ სარგებლობის უფლებით გადაეცეს ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ზუგდიდდასუფთავების ცენტრს“ (ს/კ220415414).

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 14

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მომრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ზუგდიდდასუფთავების ცენტრისთვის“ გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა
და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ხელმოწერილია